899.962.1(09)
ბ-445

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ლალი ბიჭიკოს ასული ჭითანავა

დავით გიორგის ძე დადიანის-ნოღელის ცხოვრება და შემოქმედება

10.01.01 — ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999 წ.

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტის ახალი ქართული
ლიტერატურის განყოფილებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვაშაყმაძე შოთა- ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ექსპერტი: სიგუა სოსო- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

1. არველაძე ბონდო- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი , პროფესორი.
2. ვახანია ნინო- ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

წამყვანი ორგანიზაცია:

აკაკი წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის 16 ივნისს 14⁰⁰ საათზე.
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო
საბჭოს / № 10.01 C №3/ სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, 380008, კოსტავას ქ. № 5

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის 13 მაისს

ბიბლიოთეკა
თბილისის სახ. ...
ტექნიკური ...
...
...

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი /ა. არაბული/

ნაშრომის საერთო დახასიათება

- 1716 -

<u>თემის აქტუალობა</u>: ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სულიერი კულტურის განვითარებაში თავისი ისტორიული მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გასული საუკუნის მეორე ნახევარს, რომელიც მდიდარია არა მხოლოდ უაღრესად საყურადღებო სოციალური მოვლენებით, არამედ კულტურისა და ლიტერატურის არაჩვეულებრივი განვითარებით, ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლებითა და მძლავრი დემოკრატიული აღმავლობით.

მე-19 საუკუნის 60-70 -იან წლებში რეალიზმმა ყველაზე ღრმად და რელიეფურად ასახა იმ დროის ეროვნული სინამდვილე, ხალხის უტეხი ნებისყოფა და რწმენა განთავისუფლებისა და ნათელი მომავლისა.

80-90-იანი წლები ქართული მწერლობის ახალ პერიოდად ითვლება, რეალიზმის განვითარების, მხატვრული გამოსახვის ფორმის სიახლისა და მრავალმხრივობის თვალსაზრისით. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მეფის მთავრობის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და გაბედულად ამხელდა მას.

მემკვიდრეობითი კავშირი მე-19 -ის პირველი ნახევრის ქართული კულტურის ტრადიციებსა და მეორე ნახევრის მოღვაწეთა შორის, ბუნებრივია, ახალი თაობა ბევრ რამეს ღებულობდა პირველი ქართველი განმანათლებლებისაგან (ს.დოდაშვილი, ნ. ბარათაშვილი), ითავისებდა მათ გამოცდილებას, ზოგჯერ დიდი გავლენით, ზოგჯერ ორიგინალური ხედვით ამდიდრებდა მე-19 ს-ის ქართული მწერლობის მხატვრულ-ესთეტიკურ და იდეურ-თემატურ მონაპოვარს.

ამ თვალსაზრისით, საინტერესო საკვლევ მასალას იძლევა დავით გიორგის ძე დადიანის-ნოღელის შემოქმედება, რომელიც მე-19 ს-ის ლიტერატურულ ნოვაციებთან დიდ სიახლოვეს იჩენს. მისი შემოქმედება გარკვეულწილად წარმოადგენს რომანტიკული და რეალისტური ტენდენციების ერთგვარ სინთეზს.

<u>გამოკვლევის მიზანი და ამოცანები</u>: ნაშრომის მიზანია დავით ნოღელის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული ანალიზი. განხილულია პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითადი ხაზი- მისი პოემები,ლექსები, ასევე